ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ 2021 წელი

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის № 347 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63–ე მუხლისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში 2021-2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 იანვრის №347 განკარგულებაში, კერძოდ, შეიცვალოს განკარგულების დანართი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2021 წლის --------- №---

განკარგულების დანართი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში

2021–2024 წლებში დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადებები

№	დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის გამოყოფილი თანხა	პროექტის განხორციელებისა-თვის გამოყოფილი თანხა
1.	ქალაქ ქუთაისში, სულხან-საბას გამზირის პირველი შესახვევის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		1,069,750.00
2.	ქალაქ ქუთაისში, მანდარიას ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		897,437.52
3.	ქალაქ ქუთაისში, ჯიბლაძის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		290,996.49
4.	ქალაქ ქუთაისში, ხახანაშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		224,106.98
5.	ქალაქ ქუთაისში, ლომოურის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		348,556.66
6.	ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის გამზირის ფასადების რეაბილიტაცია		662,387.00
7.	ქალაქ ქუთაისში, გუგუნავას ქუჩის №9-დან გუგუნავას ქუჩამდე საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		130,508.70
8.	ქალაქ ქუთაისში, ცენტრალური სამუსიკო სკოლის სრული რეაბილიტაცია		1,500,000.00
9.	ქალაქ ქუთაისში, №17 სპორტული სკოლის სრული რეაბილიტაცია		1,500,000.00
10.	ქალაქ ქუთაისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია		700,000.00
11.	ქალაქ ქუთაისში, ლიფტების რეაბილიტაცია		200,000.00
12.	ქალაქ ქუთაისში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კაპიტალური ღონისძიებები (სახურავი, სადარბაზო, სარდაფები)		3, 954, 857.00
			11, 478, 598,47

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი